უწმინდესი პატრიარქი კირილე შეხვდა იორდანიის ელჩს რუსეთში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 29.07.2022. 29 ივლისს მოსკოვში დანილოვის მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში შედგა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს შეხვედრა იორდანიის ხაშიმატის სამეფოს ელჩთან რუსეთის ფედერაციაში ხალიდ შავაბკოსთან.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ასევე მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ არქიმანდრიტმა ფილარეტმა (ბულეკოვი).

ელჩმა მადლობა გადაუხადა მის უწმინდესობას შეხვედრის შესაძლებლობისთვის და პატრიარქ კირილეს გადასცა პატივისცემის დამადასტურებელი სიტყვები იორდანიის მეფე აბდალა II-ისგან, – მის მიერ ეკლესიისა და ქრისტიანული წმინდა ადგილების სასიკეთოდ გაწეული ღვაწლისთვის.

მისმა უწმინდესობამ გულთბილი მადლობა გადაუხადა გადაცემული მისალმებისთვის და აღნიშნა, რომ რუსეთის ეკლესიას დიდი ხანია იორდანიასთან მტკიცე და მეგობრული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. მათ რიცხვში პატრიარქმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამ ფაქტორისათვის ხელშემწყობ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ამგვარი კონტაქტებისადმი მისი აღმატებულების იორდანიის მეფე აბდალა II-ისა და მისი ოჯახის მხრიდან, ასევე ამ ქვეყნის ხალხის მხრიდან.

„სახელმწიფო საზღვრები არ ყოფს წმინდა მიწას – ის ერთიანია. იორდანია ისტორიულად მნიშვნელოვანი ნაწილია წმინდა მიწისა. სწორედ ამიტომ ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ აგვეშენებინა მომლოცველობის ცენტრი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, რათა რუსეთიდან ჩამოსულ მომლოცველებს, რომლებსაც წმინდა მიწაზე მოგზაურობა სურთ, შესაძლებლობა მიეცეთ, მოილოცონ როგორც ისრაელი, ისე იორდანია, ასევე, რა თქმა უნდა, პალესტინის ავტონომია, – განაცხადა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ. – თვით ის ფაქტი, რომ წმინდა მიწა რუსი მართლმადიდებლების გულის ნაწილია, ძალიან დიდ პერსპექტივებს უხსნის მომლოცველობის შემდგომ განვითარებას, რაც ნიშნავს ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას“.

პატრიარქმა კირილემ განსაკუთრებით გაიხსენა თავისი ვიზიტი იორდანიაში 2020 წლის თებერვალში და მისი შეხვედრა ადგილობრივი ეკლესიების მეთაურებთან და წარმომადგენლებთან. უწმინდესმა მეუფემ აღნიშნა, რომ ამ ისტორიულ შეკრებას „დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მართლმადიდებელი ეკლესიების კონსოლიდაციის საქმეში საკმაოდ რთულ პერიოდში“. მან მადლიერებით აღნიშნა ასევე ამ ინიციატივისადმი „ფრიად დადებითი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება“ მისი აღმატებულების მეფე აბდალა II-ის მხრიდან.

უწმინდესი მეუფე შეეხო აგრეთვე იორადანიასთან თანამშრომლობის რამდენიმე კონკრეტულ მიმართულებას. მან, კერძოდ, გაიხსენა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მომაწილეობით სკოლების მშენებლობა ქ. დიბინში, ასევე სტუდენტების სწავლის პროგრამების რეალიზაცია, რომლებიც იორდანიიდან რუსეთის ფედერაციაში ჩადიან. „ყველა ეს ინიციატივები და პროგრამები, რომლებიც კეთილგანწყობილ ატმოსფეროში ხორციელდება, – რადგან არაფერი აყენებს ჩრდილს ჩვენს ურთიერთობებს, – ნამდვილად ეხმარება ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთკავშირების გაღრმავებას“, – ბრძანა პატრიარქმა კირილემ. მან იმედი გამოთქვა ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე, მათ შორის, ორი ქვეყნის მორწმუნე ხალხს შორის – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და იორდანიის რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობით. კერძოდ, იერუსალიმის საპატრიარქოს მონაწილეობით, რომლის კანონიკურ ტერიტორიასაც მიეკუთვნება ეს ქვეყანა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89494/